

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება N 307
1994 წლის 8 სექტემბერი
ქ. თბილისი

საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის
ბრძოლაში დაღუპული ჯარისკაცების მემკვიდრეებზე
საპრივატიზაციო ბარათების გადაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის N 287 დადგენილებით განსაზღვრული კონტიგენტის დამატებით საპრივატიზაციო ბარათები გაიცეს საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ჯარისკაცებზე და გადაეცეთ ისინი მათ კანონიერ მემკვიდრეებს.

ტერიტორიულმა კომისიებმა სიები შეათანხმონ ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდთან და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან.

ე. შევარდნაძე